ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 10-109/1

ქ. თბილისი 28 ოქტომბერი, 2014 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი'') წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „იუჯითი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით, მოქმედებენ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის N1693 განკარგულების საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" –კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"– ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 6 ცალი სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერის - დესკტოპი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) (შემდგომში „საქონელი", CPV-30213300) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4638 (ოთხი ათას ექვსასოცდათვრამეტი) ლარს.

3.2 მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასები მოცემულია ფასების ცხრილში:

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	**HP ProDisplay P221**	**Monitor** – 21.5", 16:9, 1920x1080, 5ms, 170/160, 100,000,000:1, 250cd/m, -5+25, DVI, VGA **Warranty 3 years**	6	225.00	1350
2	**HP EliteDesk 705 G1 SFF Business PC**	**Desktop** - AMD A8-6500B, 4GB, 500GB, 10/100/1000, DIMM - 4x, Dual Channel; 6 USB 3.0; 6 USB 2.0; 1 serial; 2 PS/2 (keyboard and mouse); 1 VGA; 2 Display Port 1x DVI Adapter; 1 audio in; 1 audio out; 1 RJ-45; 1 headphone; 1 microphone, Keyboard, Mouse **Warranty 3 years**	6	548.00	3288
				სულ დღგ-ს ჩათვლით:	4638,00

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყარო: 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“ (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.2 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია) გაფორმების შემდეგ.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გია გუჯარაიძე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია პროექტების მენეჯერი, გელა გაფრინდაშვილი;

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავძის გამზ. #17ა.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.1.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

7.1.3 ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

7.1.4 საქონლის მოწოდების შემდგომ, ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.1.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია:

7.3.1 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. გარანტია

8.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება სამი წლის ვადით;

8.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას

მოთხოვნიდან და საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლევან დვალი.

9.2 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი და ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა საქონლის მიწოდებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, თითოეული მხარე უფლებამისილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

16. დასკვნითი დებულებები

16.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. #52
საბანკო რეკვიზიტები: ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ს/კ #202051224

ქეთევან ნატრიაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „იუჯითი"
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №17ა,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.#GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22,
ს/კ –204 892 964

ერმილე სულაძე